

## შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“  
და შპს „ჰიდროენერჯის“ შორის 2015 წლის 15 აგვისტოს დადებულ ურთიერთგაგების  
მემორანდუმში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისი

18 აპრილი, 2016 წ.

წინამდებარე შეთანხმება დადებულია შემდეგ მხარეებს შორის:

საქართველოს მთავრობა (შემდგომში წოდებული, როგორც „მთავრობა“),  
წარმოდგენილი საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის, კახა კალაძის მიერ,

შპს „ჰიდროენერჯი“ (შემდგომში წოდებული, როგორც „კომპანია“), ს/კ:405074324,  
წარმოდგენილი დირექტორის, გიორგი გოგავას მიერ,

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ (შემდგომში  
წოდებული, როგორც „ესკო“), ს/კ: 205170036, წარმოდგენილი გენერალური დირექტორის,  
ვახტანგ ამბოკაძის მიერ

(ერთად წოდებული, როგორც „მხარეები“ და ცალცალკე, როგორც - „მხარე“).

ვინაიდან, მხარეებს შორის 2015 წლის 15 აგვისტოს დაიდო ურთიერთგაგების  
მემორანდუმი (შემდგომში „მემორანდუმი“) ჰიდროელექტროსადგურ „შილდაჰესი 1“-ის  
მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების თაობაზე;

ვინაიდან, კომპანიის მიერ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის პროექტირებისა  
და მემორანდუმის შესაბამისად განხორციელებული სხვა ღონისძიებების საფუძველზე,  
გამოვლინდა, რომ მემორანდუმით გათვალისწინებული ტექნიკური პარამეტრების მქონე  
ჰიდროელექტროსადგურის გამყვანი არხიდან გამომავალმა წყლის ნაკადმა, შესაძლოა,  
საფრთხე შეუქმნას სოფლის სარწყავი არხის სრულფასოვან ფუნქციონირებას, რის გამოც,  
მიზანშეწონილია ჰიდროელექტროსადგურის სააგრეგატო შენობის საპროექტო  
ადგილმდებარეობის შეცვლა, რაც, თავის მხრივ, იწვევს ჰიდროელექტროსადგურის  
დადგმული სიმძლავრის შემცირებას 1,9 მეგავატიდან - 1,2 მეგავატამდე;

ვინაიდან, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსთვის კომპანიის მიმართვის  
საფუძველზე, მემორანდუმის შესაბამისად, მხარეებმა ერთობლივად განიხილეს  
ზემოაღნიშნული საკითხი და გამოვლენილი გარემოებების გათვალისწინებით, მიიღეს  
გადაწყვეტილება მემორანდუმით გათვალისწინებული ჰიდროელექტროსადგურის  
ტექნიკური პარამეტრების ოპტიმიზაციის, კერძოდ, ჰიდროელექტროსადგურის დადგმული  
სიმძლავრის 1,9 მეგავატიდან - 1,2 მეგავატამდე შემცირების თაობაზე;


აქედან გამომდინარე, მხარეები დებენ წინამდებარე შეთანხმებას მათ შორის 2015 წლის 15 აგვისტოს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილებების შეტანის თაობაზე შემდეგი პირობებით:

1. შეიცვალოს მემორანდუმის დანართი №1 და ჩამოყალიბდეს წინამდებარე შეთანხმებაზე თანდართული სახით.
2. მემორანდუმის მუხლები და მათი ნუმერაცია, ისევე, როგორც სხვა დანართები, დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.
4. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს მემორანდუმის განუყოფელ ნაწილსა და ძალაშია მასთან ერთად. იგი შედგენილია ქართულ ენაზე სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად.
5. ამ შეთანხმების ფარგლებში წარმოშობილი ნებისმიერი დავა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ.

მხარეთა ხელმოწერები:

საქართველოს მთავრობა


\_\_\_\_\_



კახა კალამე

სს „ჰიდროენერჯი“


\_\_\_\_\_



გიორგი გოგავა

სს „ელექტროენერჯიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“

\_\_\_\_\_



ვანტანა ამბოვაძე

დანართი №1

დასახელება	ადგილმდებარეობა	მდინარის ნიშნულები		წლიური გამომუშავება	სიმძლავრე	სავარაუდო ინვესტიცია
შილდაჭესი 1	ყვარლის მუნიციპალიტეტი, მდინარე ჩელთი	755 მ.ზ.დ.	678 მ.ზ.დ.	8,7 მლნ.კვტ.სთ.	1,2 მგვტ	1 800 000 აშშ დოლარი



## საქართველოს მთავრობის განკარგულება

№553 2016 წლის 31 მარტი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის  
კომერციულ ოპერატორსა“ და შპს „ჰიდროენერჯის“ შორის  
2015 წლის 15 აგვისტოს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში  
ცვლილებების შეტანის თაობაზე

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ და შპს „ჰიდროენერჯის“ შორის დასადები შეთანხმების პროექტი ამავე მხარეებს შორის 2015 წლის 15 აგვისტოს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

2. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, შეთანხმებას, საქართველოს მთავრობის სახელით, ხელი მოაწეროს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ.

პრემიერ-მინისტრი



გიორგი კვირიკაშვილი



1942

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო  
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA



KA010127469464016

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ. 24 ა. ტელ.: 2 40-51-48, 2 40-58-36; ელ. ფოსტა: info@justice.gov.ge  
24 a, Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel.: 2 40-51-48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№1577

11 / მარტი / 2016 წ.

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის  
მოადგილეს,  
ზატონ ირაკლი ხმალაშვილს

ზატონ ირაკლი,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2016 წლის 09 მარტის №04/806 წერილით წარმოდგენილი საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ და შპს „ჰიდროენერჯის“ შორის 2015 წლის 15 აგვისტოს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების პროექტი, რომელთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები არ გვაქვს.

პატივისცემით,

გ. ლომიჯიანიძე

მინისტრის მოადგილე

გოჩა ლომიჯიანიძე



ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი  
Electricity Market Operator

საქართველო, თბილისი, 0114, ბარათაშვილის ქ. 2  
ტელეფონი: 2401420; ფაქსი: 2601915

2 Baratashvili Str., 0114 Tbilisi, Georgia  
Phone: +995 32 2401420; Fax: +995 32 2601915

N 01/350  
14/03/2016

350-01-2-201603141414



თანხმობა ხელმოსაწერი  
ურთიერთგაგების მემორანდუმში  
ცვლილებების შეტანის თაობაზე  
შეთანხმების პროექტში

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის

მოადგილეს ბატონ ირაკლი ხმალაძეს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს 2016 წლის 09 მარტის #04/808 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ბაზრის ოპერატორმა განიხილა საქართველოს მთავრობას, შპს „ჰიდროენერჯისა“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის 2015 წლის 15 აგვისტოს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების პროექტი, რომელთან დაკავშირებითაც შენიშვნები არ გაგვაჩნია.

პატივისცემით,

ვახტანგ ამბოკაძე

გენერალური დირექტორი

OFFICE@ESCO.GE • WWW.ESCO.GE

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“  
რეგისტრირებულია ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ 07.08.2006; საიდ. კოდი 205170036

ELECTRICITY SYSTEM COMMERCIAL OPERATOR JSC

Registered by Tbilisi Tax Inspectorate on 07.08.2006; ID CODE 205170036